

შპს „აქვა-ტერა“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2021 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჟ ე ვ ი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-22
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	8-15
3. განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	15-17
4. ამონაგები	17
5. საპროცენტო ხარჯი	17
6. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები	17
7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	18
8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	19
9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	20
10. მარაგები	20
11. გადახდილი ავანსები	21
12. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	21
13. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	21
14. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ	21
15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	22

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2021	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2020
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1 279 282	382 578
გადახდილი ავანსები	11	285 671	924 863
სავაჭრო მოთხოვნები		170 894	143 793
მარაგები		3 970 708	3 769 514
მზა პროდუქცია		-	-
სხვა მარაგები	10	3 970 708	3 769 514
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ბიოლოგიური აქტივები			
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი		-	-
სხვა არამატერიალური აქტივი	8	79 890	41 727
ძირითადი საშუალებები	8	4 920 368	3 517 500
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა შვილობილ ინსტრუმენტებში		-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-
სულ აქტივები		10 706 813	8 779 976

ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები		173 145	40 075
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		25 713	18 141
გამოუმუშავებელი შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	2 547 134	2 372 060
მიღებული გრანტები		-	-
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		2 745 992	2 430 276

საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		-	52 188
საემისიო შემოსავალი		-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		7 960 821	6 297 512
გადაფასების რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		7 960 821	6 349 700
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		10 706 813	8 779 976

გიორგი მედულაშვილი

დირექტორი

გ. მედულაშვილი

სოფიო ლაბაძე

მთავარი ბუღალტერი


ს. ლაბაძე

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება 2021 წლისთვის

		საანგარიშგებო პერიოდი 2021	საანგარიშგებო პერიოდი 2020
ნეტო ამონაგები		14 878 408	11 783 171
საქონლის გაყიდვიდან	4	14 878 408	11 783 171
რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება		8 851 171	6 850 062
საწყისი მარაგები		3 140 183	3 326 528
მარაგების შესყიდვა		9 679 011	7 288 596
გადამუშავების დანახარჯი		-	-
საბოლოო მარაგი		3 968 023	3 765 062
საერთო მოგება		6 027 237	4 933 109
სხვა შემოსავალი		-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება		(1 664 724)	(1 303 203)
ცვეთა და ამორტიზაცია		(317 562)	(194 252)
საპროცენტო შემოსავალი		-	-
საპროცენტო ხარჯი	5	(108 172)	(123 794)
იჯარის ხარჯი	6	(1 143 703)	(951 287)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	7	(673 319)	(720 682)
სულ საოპერაციო ხარჯები		(3 907 480)	(3 293 218)
საოპერაციო მოგება		2 119 757	1 639 891
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები		-	
მარაგები		-	
სხვა არაფინანსური აქტივები		-	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავაჭრო ფასიანი ქაღალდებიდან		-	
მიღებული დივიდენდები		-	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(296 758)	(428 419)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 822 999	1 211 472
მოგების გადასახადი		(1795)	(3 770)
მოგება/(ზარალი)		1 821 204	1 207 702

გიორგი მედულაშვილი

დირექტორი



სოფიო ლაბაძე

მთავარი ბუღალტერი



კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლისთვის

	საანგარიშგებო პერიოდი 2021	საანგარიშგებო პერიოდი 2020
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	6 349 700	5 407 132
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	41 000	185 903
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(157 895)	(315 903)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	1 821 204	1 207 702
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(93 188)	(135 135)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7 960 821	6 349 700

გიორგი მედულაშვილი
დირექტორი



სოფიო ლაბაძე
მთავარი ბუღალტერი



შპს აქვა ტერა

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2021 წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2021	31/12/2020
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2 580 419	831 343
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1 764 732)	(1 270 372)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	289 415	16 753
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	1 105 102	(422 276)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(208 398)	41 128
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	382 578	763 726
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 279 282	382 578

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 30 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

გიორგი მელულაშვილი



დირექტორი

სოფო ლაბაძე



მთავარი ბუღალტერი

1. ა) ზოგადი ინფორმაცია

შპს „აქვა-ტერა“ დაფუძნდა 2002 წლის 25 ივნისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 206118510. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე საბურთალოს რაიონი, ადამ მიცკევიჩის ქ. №29-29ა, კომერციული ფართი №1, სართული 1. რეორგანიზაციის შედეგად კომპანიამ განახორციელა შპს ბიოვიტალის (2006 წლის 1 ივნისს), შპს „ომნია“-ს (2014 წლის 14 ნოემბერს), შპს ეკო ჯგუფის (2019 წლის 3 ივნისს) და შპს „ოდელ სოლის“ (2021 წლის 15 დეკემბერს) შერწყმა.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელი პირია გიორგი მედულაშვილი.

კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ცხოველთა საკვების, პრეპარატებისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია. ასევე აქვს მცირე რაოდენობით სარეალიზაციო ქალის თეთრეული. ქალის თეთრეულის რეალიზაცია წარმოადგენდა შპს „ომნია“-ს ძირითად საქმიანობას, თუმცა ამჟამად აქვა-ტერა აღარ აქორციელებს ამ ტიპის საქონლის შემოტანას. კომპანია 2021 წლის განმავლობაში სავაჭრო საქმიანობას ეწეოდა საშუალოდ 37 სავაჭრო ობიექტზე. მისი საქმიანობის ძირითადი ადგილია თბილისის ტერიტორია (34 მაღაზია), თუმცა აქვს მაღაზიები რუსთავსა (1 მაღაზია) და ბათუმშიც (2 მაღაზია).

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია მთავარ საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. Covid-19-ით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტივობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების გაწევიდან აღიარდება მაშინ, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

შესაბამისად, ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

უცხოური ვალუტა.

ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების აღიარება. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

მოგების გადასახადი აღიარდება საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას და მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება-ზარალში, როდესაც მოხდება მიღებული მოგების განაწილება.

სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას

(როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით 2016 წლის პირველი იანვრიდან გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს სალდირებულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობები	20 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10 წელი

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალში აღიარდება.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

აქტივების გაუფასურება

ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმის, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფს) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიურ ერთეულების ჯგუფს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი ღირებულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში ხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყივნებელივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებას და პროდუქციის დასრულების და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „საშუალო შეწონილი ღირებულების“ მეთოდით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი, სარეალიზაციო საქონელი და დამხმარე მასალები.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება.

როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებშია ისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგავრი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები განისაზღვრება დაქირავებულ მომუშავეებთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულებების საფუძველზე. დაქირავებულ მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურება ხორციელდება თვეში ორჯერ.

ანაზღაურებადი შვებულების გამოყენების წესი ეფუძნება საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ პირობებს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. განუსაზღვრელობის შეფასებისთვის გამოყენებული ძირითადი წყაროები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით.

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე.

მე-2-ე შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო

შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან და კავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საეჭვო ვალების ანარიცხები

კომპანია საეჭვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალების ანარიცხების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საეჭვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიცილური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიცილური აქტებისა და სასამართლო

გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორცილებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

4. ამონაგები

კომპანია საქმიანობს სავაჭრო სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება რეალიზებული საქონლის ღირებულებისგან. 2021 წელს და 2020 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შესაბამისად შეადგინა 14 878 408 და 11 783 171 ლარი.

5. საპროცენტო ხარჯი

2021 წლის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 108 172 ლარი და იგი მოიცავს თიბისი ბანკიდან და პროკრედიტ ბანკიდან აღებული სესხების პროცენტებს. 2020 წლის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 123 794 ლარი და იგი მოიცავს თიბისი ბანკიდან აღებული სესხების პროცენტებს.

6. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის იჯარის ხარჯი შეადგენს 1 143 703 ლარს. კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საქონლის სარელიზაციო ობიექტების (მაღაზიების) ფართები. იჯარების საშუალო ვადა 1-5 წელია, ამავე ვადაში ფიქსირებული საიჯარო გადასახდელების გადახდით. 2020 წლის იჯარის ხარჯი შეადგენს 720 682 ლარს.

7. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	31/12/2021	31/12/2020
მიწოდების ხარჯები მაღაზიათა ქსელის ხარჯები	172 617	449 217
წარმომადგენლობითი და სამივლინებო ხარჯები		5 409
ტრანსპორტის შენახვის ხარჯი	62 316	39 705
საღარო აპარატის მომსახურების ხარჯი	7 092	
ბანკის საკომისიო	170 010	82 912
ელექტო ენერგიის ხარჯები	68 020	32 441
დასუფთავების ხარჯები	6 121	4 567
დაცვის ხარჯები	2 377	3 472
ბუნებრივი აირის ხარჯი	17 237	12 162
ინტერნეტის ხარჯი	30 568	
კომპიუტერის ხარჯები	5 505	436
წყლის ხარჯი	10 023	3 885
საკონსულტაციო ხარჯები	46 364	45 189
სხვა საგადასახადო ხარჯი	62 463	36 276
დაზღვევა	5 870	5 011
საკურსო სხვაობა	23 973	
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	673 319	720 682

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წ. 31
დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

8. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	მიწა	შენობები	არამატერიალური აქტივი	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარი თაღებული ქონება	სულ
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	550 436	2 166 076	29 512	482 422	150 174	127 804	3 506 425
<i>მიღებულია 2021 წლის საანგარიშო პერიოდში</i>	296 280	1 031 440	54 598	10 847	270 468	155 696	1 819 331
<i>დარიცხული ცვეთა</i>		109 025	4 221	91 890	45 178	37 469	287 782
<i>გასული</i>				25 468		12 248	37 716
<i>ნარჩენი ღირებულება -</i>	846 716	3 088 491	79 890	375 912	375 465	233 784	5 000 257
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	846 716	3 088 491	79 890	375 912	375 465	233 784	5 000 257

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებების თანხით.

☐ ცვეთის მეთოდი: წრფივი მეთოდი

კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა დატვირთულია იპოთეკით, ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

9. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

ლარი	31-12-21	31-12-20
ფულადი სახსრები ლარში	165 193	133 489
ფულადი სახსრები ვალუტაში	947 868	122 707
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	1 113 061	256 196
ნაღდი ფული ლარში	166 221	126 382
სულ ნაღდი ფული	1 279 282	382 578

კომპანიის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ძირითადი ნაშთები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, თიბისი ბანკში და პროგრედიტ ბანკში. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების ნაშთები არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული. კომპანია არ მოელის რომელიმე კონტრაგენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობას.

10. მარაგები

ლარი	31-12-21	31-12-20
სასაქონლო მატერიალური მარაგი	3 968 023	3 765 062
საწვავი	2 685	4 452
სულმარაგები	3 970 708	3 769 514

მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალი არ გამოვლინდა .

11. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა გადახდილია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს საქონლის მყიდველებისგან მიღებულ ავანსებს.

12. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

ლარი		ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31-12-21	31-12-20
სს „თი ბი სი ბანკი“	ევრო	6,7%	2027			1 016 730
სს „თი ბი სი ბანკი“	ევრო	7,0%	2029			727 093
სს „თი ბი სი ბანკი“	ევრო	7,0%	2030			628 237
სს „პროკრედიტ ბანკი“	ევრო	4,0%	2031	1 957 807		
სს „პროკრედიტ ბანკი“	ევრო	4,0%	2031	168 846		
სს „პროკრედიტ ბანკი“	ევრო	4,0%	2031	420 480		
				2 547 133		2 372 060

ბანკის სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული საოფისე შენობა ნაგებობით.

13. დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება შეადგენდა 105 000 ლარს. 2020 წელს კი ეს მაჩვენებელი შედგენდა 155 625 ლარს.

14. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

15. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 30 სექტემბერს.